

კარიერის სამსახურის ან დასაქმების განყოფილების მუშაობა საქართველოს
უნივერსიტეტებში

ანა დაუშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტის განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მათა ბიწაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა დაუშვილი

27/06/2016

სარჩევი

აბსტრაქტი.....	1
Abstract.....	2
საკითხის აქტუალურობა.....	3
კვლევის მიზანი.....	4
საკვლევი კითხვა.....	4
ჰიპოთეზები.....	5
ლიტერატურის მიმოხილვა.....	6
მეთოდოლოგია.....	15
კვლევის შედეგები.....	18
<i>კარიერის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგების აღწერა.....</i>	<i>21</i>
<i>გამოკითხულ სტუდენტთა შედეგების ანალიზი.....</i>	<i>38</i>
<i>გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამის სტუდენტებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შედეგების აღწერა.....</i>	<i>52</i>
შედეგების განხილვა.....	54
დასკვნა და რეკომენდაციები.....	56
რეკომენდაციები შემდგომი კვლევისთვის.....	61
დანართი 1.	62
დანართი 2.	66
დანართი 3.	71
გამოყენებული ლიტერატურა.....	94

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს საქართველოს ოთხი უნივერსიტეტის კარიერის სამსახურის ან მასთან გათანაბრებული განყოფილების მუშაობის კვლევას, რა შეთავაზებები და სერვისები აქვთ სტუდენტებისათვის, რა გამოწვევები არსებობს, რა სახის პერსპექტივები და მოლოდინებია აღნიშნული სამსახურის მიმართ.

ჩატარდა შერეული ტიპის კვლევა. რაოდენობრივი კვლევის პროცესში, ოთხი სხვადასხვა ტიპის უნივერსიტეტიდან, გამოიკითხა 400 სტუდენტი. მათ შეაფასეს დასაქმების განყოფილების მუშაობა, დაასახელეს კმაყოფილების მიზეზები, რისი შეცვლა ან გაუმჯობესება სურდათ აღნიშნულ სამსახურთან დაკავშირებით. თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტის – ჩაღრმავებული ინტერვიუს ფარგლებში გამოიკითხნენ დასაქმების დეპარტამენტის წარმომადგენლები.

საერთო ჯამში, კერძო უნივერსიტეტის სტუდენტებმა კმაყოფილება გამოთქვეს დასაქმების დეპარტამენტის მიმართ, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტებში აღნიშნეს, რომ უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული სამსახურის გააქტიურება და სტუდენტებთან მეტი კონტაქტის დამყარება. რაც შეეხება დასაქმების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგებს, სახელმწიფო უნივერსიტეტებში გამოიკვეთა სტუდენტების პასიურობა, კერძო უნივერსიტეტში გამოვლინდა მეტი ყურადღება სამომავლო პერსპექტივებსა და გარკვეული მიდგომების გაუმჯობესების გზების ძიებაზე.

ნაშრომის ბოლოს შემუშავებულია რეკომენდაციები, რომელთა ნაწილიც ეყრდნობა საზღვარგარეთ ჩამოყალიბებული უნივერსიტეტის კარიერის სამსახურების მუშაობის საუკეთესო პრაქტიკას.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: უნივერსიტეტის კარიერის სამსახური; დასაქმების დეპარტამენტი; სტუდენტთა დასაქმება.

Abstract

This research paper is about career service offices or equal divisions at four universities. Research focuses on services and suggestions career service offices provide. The research is oriented on challenges, perspectives and expectations career service offices have.

Quantitative and qualitative research instruments were used in the study. In process of quantitative research 400 students from four different types of universities, filled out questionnaire. They evaluated the work of the department of employment. They defined the reasons of their satisfaction, strong and weak points of department. In process of qualitative research instrument – department employees were interviewed.

Study revealed that, students from private university were satisfied with the department of employment, while students from state universities have noted that it would be better to activate the service and have more communication with students. According interviews with department representatives at state universities, they complain about students' passive condition. Departments at private universities pay more attention to students' future perspectives and spend more time on improvement.

At the end of work there are recommendations, some of them are based on the work of the best practice university careers services of abroad.

Keywords: University career service; Employment Department; Student employment.